

ქართულ ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	260,314	364,213
აქტივის გამოყენების უფლება	9	161,123	210,860
არამატერიალური აქტივები		20,801	6,566
სულ გრძელვადიანი აქტივები		442,238	581,639
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		3,616	8,289
სავაჭრო მოთხოვნები	10	1,099,787	824,023
საგადასახადო აქტივები, წმინდა		84,073	61,261
გადახდილი ავანსები		129,644	57,449
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	3,303,411	2,047,873
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,620,531	2,998,895
სულ აქტივები		5,062,769	3,580,534
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	450,000	450,000
გაუნაწილებელი მოგება		1,189,812	617,622
სულ საკუთარი კაპიტალი		1,639,812	1,067,622
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	9	108,291	174,184
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		108,291	174,184
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	9	88,722	45,556
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	3,225,944	2,293,172
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,314,666	2,338,728
სულ ვალდებულებები		3,422,957	2,512,912
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		5,062,769	3,580,534

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 16 სექტემბერს.

ლილი ჟსენაშვილი
გენერალური დირექტორი

ნათია შოშიტაშვილი
მთავარი ბუღალტერი

5-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ქართულ ლარში	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	14	8,822,527	8,055,032
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	15	(5,194,164)	(4,720,260)
საერთო მოგება		3,628,363	3,334,772
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(1,431,982)	(1,194,105)
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	17	(511,137)	(383,010)
სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა	18	(974,902)	(759,451)
საოპერაციო მოგება		710,342	998,206
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი		(71,698)	(14,421)
ფინანსური დანახარჯები		(66,454)	(25,888)
მოგება დაბეგვრამდე		572,190	957,897
მოგების გადასახადის ხარჯი	12	–	(423,334)
წლის წმინდა მოგება		572,190	534,563
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		572,190	534,563

5-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ქართულ ლარში	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	450,000	2,481,949	2,931,949
2023 წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	534,563	534,563
გამოცხადებული დივიდენდები	–	(2,398,890)	(2,398,890)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	450,000	617,622	1,067,622
2024 წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	572,190	572,190
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	450,000	1,189,812	1,639,812

შპს „არამექს ჯორჯია“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ქართულ ლარში	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება დაბეგვრამდე		572,190	957,897
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	8	100,371	91,188
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	9	183,040	114,229
ზარალით შემცირებული შემოსულობა ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად	18	11,097	(12,366)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	9	66,454	25,888
საკურსო სხვაობები კონვერტაციის შედეგად, წმინდა		71,698	(53,564)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის გაუქმება	10	(67,066)	(104,656)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე:		937,784	1,018,616
სავაჭრო მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		(163,425)	902,997
მარაგების (ზრდა)/შემცირება		4,673	(5,188)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		858,018	(609,270)
საგადასახადო აქტივების ზრდა		(22,812)	(2,186)
გადახდილი ავანსებისა და გადავადებული დანახარჯების ზრდა		(72,195)	(27,061)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		604,259	259,292
გადახდილი პროცენტი	9	(66,454)	(25,888)
მოგების გადახდილი გადასახადი		–	(763,608)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		1,475,589	488,412
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(19,759)	(159,395)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	8	12,190	18,550
არამატერიალური აქტივების შეძენა		(14,235)	(6,566)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(21,804)	(147,411)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
საიჯარო ვალდებულებების გადახდები	9	(180,103)	(144,552)
კომპანიის მფლობელისთვის გადახდილი დივიდენდები		–	(4,506,080)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(180,103)	(4,650,632)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე, წმინდა		(18,144)	48,491
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	2,047,873	6,309,013
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	3,303,411	2,047,873

5-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. შპს „არამექს ჯორჯია“ და მისი საქმიანობა

შპს „არამექს ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2014 წლის 3 იანვარს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 406109955. კომპანიის ოფიციალური იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ბოჭორმის ქ. 12ა.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში 100%-იან წილს ფლობს შპს „არამექს რეგიონალ“ („მშობელი საწარმო“) — რეგისტრირებული არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, დუბაის საამიროში, 2012 წლის 10 ივლისს. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი საწარმოს წილის 99%-სა და 1%-ს, შესაბამისად, ფლობენ შპს „არამექს ინტერნეიშენალი“ და შპს „არამექს აბუ-დაბი“. კომპანიის საბოლოო მშობელი საწარმო არის საჯარო სააქციო საზოგადოება „არამექსი“ („საბოლოო მაკონტროლებელი მხარე“), რომელიც რეგისტრირებულია არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, დუბაის საამიროში 2005 წლის 15 თებერვალს, არაბთა გაერთიანებული საამიროების 1984 წლის ფედერალური კანონი N8-ის შესაბამისად.

საბოლოო მშობელი საწარმო რეგისტრირებულია დუბაის საფინანსო ბაზარზე 2005 წლის 9 ივლისიდან.

საბოლოო მშობელი საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ინვესტიციის განხორციელება ტვირთის გადაზიდვის, ექსპრეს ფოსტის, ლოგისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის მართვის ბიზნესებში ახლო აღმოსავლეთსა და მსოფლიოს სხვა კუთხეებში კომპანიების მაკონტროლებელი წილების შესყიდვითა და ფლობით.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ტრანსპორტირებისა და ლოგისტიკური მომსახურება, მათ შორის საერთაშორისო და შიდა საკურიერო, ტვირთების გადაზიდვა (სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტით), სასაწყობო მეურნეობა, დოკუმენტებისა და მონაცემების მართვა და შენახვა, ელექტრონული კომერცია და მათთან დაკავშირებული ყოველგვარი მომსახურება.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა მშობელი კომპანიის მიერ აქციონერთა კრებაზე. აქციონერებს შეუძლიათ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანა გამოშვების შემდეგ.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია საქმიანობას ძირითადად საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის. საქართველოს აქვს ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა დაბალი გადასახადებითა და მსუბუქი რეგულაციებით.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და ფულად-საკრედიტო ზომებზე, ისევე, როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

კომპანიამ ეს ფინანსური ანგარიშგება მოამზადა იმ დაშვების საფუძველზე, რომ გააგრძელებს საქმიანობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ არის მითითებული. ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას. ის საკითხები, რომლებიც საჭიროებს განსჯის შედარებით მაღალ დონეს ან ხასიათდება სირთულით, ან ის საკითხები, რომელთა შემთხვევაშიც ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანია დაშვებები და წინასწარი შეფასებები, წარმოდგენილია 4 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც, საჭიროების შემთხვევაში, აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ცვეთა

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთა ხდება დარიცხვის წრფივი მეთოდით ქვემოაღნიშნული კატეგორიების აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	7
ავეჯი და მოწყობილობები	7
საოფისე აღჭურვილობა	7
კომპიუტერები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა წრფივი მეთოდით ერიცხება იჯარის ვადასა ან სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმოკლესი ვადის განმავლობაში. კომპანიის აქტივის გამოყენების უფლება მხოლოდ მოიცავს შენობებს. ყველა მათგანისთვის იჯარის ვადა შედარებით ხანმოკლეა და შეადგენს 5 წელს.

საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად კომპანია იყენებს თავის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, რადგან საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად გამარტივებულ მეთოდ იყენებს. ამ მეთოდით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დონეები განისაზღვრება მოთხოვნების ვადიანობის პროფილის საფუძველზე და დგინდება დავალიანების ამოღების ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი გადაიხდება დივიდენდებზე და დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც ანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული საგადასახადო ვალდებულებები საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ასეთი გარიგებების დაბეგვრა საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად აღირიცხება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადასახადები (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო უწყებებისთვის გადახდა უნდა მოხდეს (ა) კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნების მიღებისას ან (ბ) საქონლის ან მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისას, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი. დღგ-ის ჩასათვლელი თანხა ზოგადად მიიღება გადასახდელი დღგ-ის საფუძველზე, დღგ-ის ინვოისის მიღებისთანავე.

საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებით გადასახდელი დღგ 5-10 წლით გადავადდება საწარმოებისათვის, რომელთაც 20%-ზე მეტი დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

საქართველოს შემოსავლების სამსახური აკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებულ ანგარიშზე. ამიტომ კომპანია ყველა საგადასახადო ვალდებულებებთან ან მოთხოვნებთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ნებადართული საზედამხედველო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (სააქციო კაპიტალთან, წილობრივ მონაწილეობასთან და სხვა დაკავშირებული ცვლილებების ჩათვლით) შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. ნებადართული კაპიტალი აღიარებულია, როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის საკუთარ კაპიტალში იმ შემთხვევაში, თუ ის კომპანიის მფლობელმა შეიტანა.

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და სხვა ამონაგები

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა კლიენტს ანაზღაურების შესაბამისი ოდენობით, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ.

კომპანია მომსახურებას უწევს ძირითადად შუამავალ ლოგისტიკურ კომპანიებს, ექსპედიტორებს, ტვირთის მფლობელებსა და საცალო მომხმარებლებს ფიქსირებულფასიანი ხელშეკრულებების საფუძველზე. ამონაგების აღიარება ხდება დღგ-ისა და ფასდაკლებების გარეშე. ამონაგების აღიარება ხდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა მომსახურებიდან:

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და სხვა ამონაგები (გაგრძელება)

ამონაგები ტვირთის ექსპედირებიდან

ამონაგები ტვირთის ექსპედირებიდან აღიარდება ტვირთის მიწოდებისთანავე დანიშნულების ადგილზე ან საჰაერო გადამზიდისთვის.

ამონაგები საერთაშორისო ექსპრეს ფოსტიდან

ამონაგები საერთაშორისო ექსპრეს ფოსტიდან აღიარდება მომხმარებლის მიერ ტვირთის მიღების მომენტში, როდესაც გაყიდვის პროცესი ჩაითვლება დასრულებულად და რისკები გადაეცემა მომხმარებელს.

ამონაგები ამანათების გადაზიდვის (Shop 'n' ship) მომსახურებიდან

ამონაგები ამანათების გადაზიდვის მომსახურებიდან (ელექტრონული კომერციის გაყიდვები) აღიარდება მომხმარებლების მიერ ნავაჭრი საქონლის მიღებისთანავე.

ამონაგები ლოგისტიკური მომსახურებიდან

ამონაგები ლოგისტიკური მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც გაიწევა მომსახურება, დროის გარკვეულ მომენტში.

კომპანიამ დაასკვნა, რომ იგი მოქმედებს პრინციპალის სახით ამონაგებთან დაკავშირებულ ყველა შეთანხმებაში.

მიიჩნევა, რომ დაფინანსების კომპონენტის ელემენტი არ არსებობს, რადგან გაყიდვები ხორციელდება 45-დღიანი კრედიტის პირობით, რაც შესაბამისობაშია საბაზრო პრაქტიკასთან.

ცვლილებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ

ამ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოშვების შემდეგ შეტანილი ნებისმიერი ცვლილება საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის იმ წევრების მიერ დამტკიცებას, რომლებიც უფლებამოსილი არიან, გამოუშვან წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება.

4. კრიტიკული მნიშვნელობის სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია მიმართავს გარკვეულ შეფასებებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების საწყისი აღიარება

ჩვეული საქმიანობის პროცესში კომპანია დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებს აწარმოებს. ფასს 9-ის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება მათი სამართლიანი ღირებულებით უნდა მოხდეს. თუ გარკვეული ოპერაციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, ხელმძღვანელობა თავად განსჯის, ეს ოპერაციები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით არის განფასებული თუ არასაბაზროთი. განსჯისას ხელმძღვანელობა ეყრდნობა დაუკავშირებელ (მისგან დამოუკიდებელ) მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები წარმოდგენილია მე-7 შენიშვნაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, რომელიც საჭიროებს სათანადო მეთოდოლოგიის, მოდელების და ამოსავალი მონაცემების შერჩევას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგია დაწვრილებით არის განხილული მე-20 შენიშვნაში.

კომპანია რეგულარულად ახდენს მოდელების და მათი ამოსავალი მონაცემების გადახედვას და დამტკიცებას, რათა შეამციროს სხვაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროგნოზსა და ფაქტობრივად განცდილ საკრედიტო ზარალს შორის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა განსჯის საგანია, მსგავსი აქტივებისგან მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამ აქტივებში ჩართული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარება, მეტწილად, მათი ექსპლუატაციით ხდება. თუმცა სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ფიზიკური ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში ჩართული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადებს აფასებს აქტივების ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობაზე და იმ სავარაუდო პერიოდზე დაყრდნობით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია აქტივისგან სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება ხდება: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) ტექნიკური ან კომერციული მოძველება საბაზრო პირობების ცვლილების გამო.

4. კრიტიკული მნიშვნელობის სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა (გაგრძელება)

სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული პროგნოზებისგან, ცვეთაზე მისი გავლენა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის იქნებოდა მისი გაზრდა 8,520 ლარით ან მისი შემცირება 10,414 ლარით (2023 წ.: 8,677 ლარით გაზრდა ან 8,590 ლარით შემცირება).

საიჯარო ვალდებულებების განსაზღვრისთვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები

დისკონტირების განაკვეთის გამოთვლის საფუძვლად კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს, რადგან საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი პირდაპირ ვერ განისაზღვრება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დისკონტირების განაკვეთის 10%-ით ზრდა ან შემცირება გამოიწვევდა საიჯარო ვალდებულებების გაზრდას ან შემცირებას 10,368 ლარით (2023 წლის 31 დეკემბერი: 2,654 ლარი).

5. ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

2024 წლის 1 იანვრიდან შემდეგი ახალი სტანდარტები და ცვლილებები შევიდა ძალაში:

კომპანიამ პირველად გამოიყენა სტანდარტში შესული გარკვეული სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს და მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის (თუ სხვა რამე არ არის მითითებული). კომპანიას ვადამდე არ გამოუყენებია სხვა ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ცვლილებები ფასს (IFRS) 16-ში – საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციაში

ცვლილებები ფასს 16-ში აზუსტებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც გამყიდველი მოიჯარე იყენებს საიჯარო ვალდებულების შესაფასებლად აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში, რათა გამყიდველმა მოიჯარემ არ აღიაროს შემოსულობის ან ზარალის რამე თანხა, რომელიც უკავშირდება მის მიერ შენარჩუნებულ აქტივის გამოყენების უფლებას.

ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში – ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

5. ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში აკონკრეტებს ვალდებულებების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიცირების წესებს. ცვლილებები განმარტავს:

- ▶ რა იგულისხმება ანგარიშსწორების გადავადების უფლებაში;
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- ▶ რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, გამოიყენებს თუ არა საწარმო გადავადების უფლებას;
- ▶ რომ თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი თავად წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტს, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ იმოქმედებს ვალდებულების პირობები მის კლასიფიკაციაზე.

გარდა ამისა, საწარმოს მოეთხოვება ინფორმაციის წარდგენა მაშინ, როდესაც სასესხო ხელშეკრულებიდან წარმომდგარი ვალდებულება გრძელვადიანად კლასიფიცირდება და საწარმოს უფლება, გადავადოს სესხის დაფარვა დამოკიდებულია თორმეტი თვის განმავლობაში სამომავლო პირობების შესრულებაზე.

ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე და არ გამხდარა საჭირო დამატებითი განმარტებითი შენიშვნები.

ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან – ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში და ფასს (IFRS) 7-ში

ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“, რომელთა მიზანია მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების თავისებურებების განმარტება და ასეთი გარიგებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა. ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული მოთხოვნები ამ ცვლილებებში მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმაროს, უკეთ გაიგონ მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებზე და ლიკვიდობის რისკის მოცულობაზე. ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ამ ცვლილებების გამოყენებას გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა – ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში

2023 წლის აგვისტოში ბასს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 21-ში „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“, რითაც დააკონკრეტა, როგორ უნდა შეაფასოს საწარმომ, არის თუ არა ვალუტა ურთიერთგაცვლადი და როგორ უნდა განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც ურთიერთგაცვლა შეუძლებელია. ცვლილებები ასევე მოითხოვს იმ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ როგორ მოქმედებს ან სავარაუდოდ როგორ იმოქმედებს ვალუტა, რომელიც არ არის ურთიერთგაცვლადი სხვა ვალუტაში, საწარმოს ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

ცვლილებები ძალაში შევა 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, მაგრამ სავალდებულოა ინფორმაციის გამჟღავნება. ცვლილებების გამოყენებისას საწარმოს არ შეუძლია შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება.

ფასს (IFRS) 18 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის აპრილში ბასს-მა გამოუშვა ფასს 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ფასს 18-ს შემოაქვს ახალი მოთხოვნები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ინფორმაციის, მათ შორის კონკრეტული ჯამებისა და ქვეჯამების წარდგენასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საწარმოებს ევალებათ ყველა შემოსავლისა და ხარჯის კლასიფიცირება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხუთიდან რომელიმე კატეგორიაში: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადები და შეწყვეტილი ოპერაციები. აქედან პირველი სამი კატეგორია ახალია.

იგი ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ ახლად განსაზღვრულ საქმიანობის შედეგების შეფასების საზომებს, შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამებს და მოიცავს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირებისა და დეზაგრეგირების ახალ მოთხოვნებს, ძირითადი ფინანსური ანგარიშგებებისა და მათზე დართული შენიშვნების კონკრეტული „როლების“ შესაბამისად.

გარდა ამისა, ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ შევიდა ვიწრო მიმართულების ცვლილებები, რომლებიც მოიცავს არაპირდაპირი მეთოდით წარმოებული ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის შეცვლას „მოგებიდან ან ზარალიდან“ „საოპერაციო მოგებაზე ან ზარალზე“ და დივიდენდებიდან პროცენტში ფულადი ნაკადების გადატანასთან დაკავშირებული არჩევითობის გაუქმებას. ამასთან, რამდენიმე სხვა სტანდარტში შევიდა სხვა ცვლილებებით გამოწვეული ცვლილებები.

ფასს 18 და სხვა სტანდარტებში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება და ამის შესახებ ინფორმაცია უნდა გაცხადდეს. ფასს 18 იმოქმედებს რეტროსპექტიულად.

6. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

კომპანია ამჟამად ცდილობს განსაზღვროს ყველა გავლენა, რომელიც ამ ცვლილებებს ექნება ფინანსურ ანგარიშგებაზე და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებზე.

ფასს 19 – „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები“

2024 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 19, რომელიც შესაბამის საწარმოებს უფლებას აძლევს აირჩიონ ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული შეზღუდული მოთხოვნები ფასს-ის სხვა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების პარალელურად. უფლების მისაღებად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის საწარმო უნდა იყოს შვილობილი საწარმო ფასს 10-ის განმარტების შესაბამისად, არ შეიძლება ჰქონდეს საჯარო ანგარიშვალდებულება და უნდა ჰყავდეს მშობელი საწარმო (საბოლოო ან შუალედური), რომელიც ამზადებს საჯარო გამოყენებისთვის ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც აკმაყოფილებს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს.

ფასს 19 ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის. ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. კომპანიის ვარაუდით, მას ექნება უფლება აირჩიოს ფასს 19-ის გამოყენება.

ხელმძღვანელობის შეფასებით, ამ ცვლილებების დანერგვას მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაუფარავი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2024 წლის 31 დეკემბრითა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის ასე გამოიყურებოდა:

		31 დეკემბერი, 2024 წ.		31 დეკემბერი, 2023 წ.	
		მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები
ქართულ ლარში	შენიშვნა				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,018,499	893,705	446,082	186,774

7. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

მოგებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2024 წლის 31 დეკემბრითა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ასე გამოიყურება:

ქართულ ლარში	შენიშვნა	2024		2023	
		მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები
ამონაგები	14	285,310	109,702	123,647	156,509
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	15	851,543	800,864	855,534	742,670
ბიზნესის მხარდაჭერის გასამრჯელო (*)	16	176,181	–	161,018	–
როიალტი (**)	16	–	176,181	–	161,030
პროფესიული მომსახურების გასამრჯელო (***)	16	–	253,966	–	242,051

(*) ბიზნესის მხარდაჭერის გასამრჯელო გადაეხდება მშობელ საწარმოს ტექნიკური მხარდაჭერისთვის და გამოითვლება, როგორც პერიოდის მთლიანი ამონაგების 2%.

(**) როიალტი გადაეხდება შპს „არამექს ინტერნეიშენალს“, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს. როიალტი გამოითვლება, როგორც პერიოდის მთლიანი ამონაგების 2%.

(***) ეს თანხა, როგორც წესი, მოიცავს ქსელური სისტემების ხარჯების გადანაწილებას, აუდიტის, საკონსულტაციო და იურიდიულ გასამრჯელოებს.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს ფილიალის მმართველის ხელფასსა და სხვა სარგებელს. კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ 2024 წლის განმავლობაში ანაზღაურების სახით მიიღო 177,088 ლარი (2023 წ.: 152,129 ლარი).

8. ძირითადი საშუალებები

ქართულ ლარში	საიჯარო ქონების გაუმჯო- ბელება	ავეჯი და მოწყობი- ლობები	საოფისე აღჭურ- ვილობა	კომპიუ- ტერები	სატრან- სპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება						
2023 წლის 1 იანვრის						
მდგომარეობით	343,907	63,946	34,802	62,726	115,110	620,491
შემოსვლები	31,191	3,659	24,551	19,169	80,825	159,395
გასვლები	-	-	-	-	(18,550)	(18,550)
2023 წლის						
31 დეკემბრის						
მდგომარეობით	375,098	67,605	59,353	81,895	177,385	761,336
შემოსვლები	9,129	1,788	4,272	-	4,570	19,759
გასვლები	(1,089)	(3,529)	(5,570)	(38,656)	(70,354)	(119,198)
2024 წლის						
31 დეკემბრის						
მდგომარეობით	383,138	65,864	58,055	43,239	111,601	661,897
დაგროვილი ცვეთა						
2023 წლის 1 იანვრის						
მდგომარეობით	155,981	33,386	24,315	59,513	45,106	318,301
წლის დანარიცხი	48,734	8,837	2,329	3,888	27,400	91,188
გასვლები	-	-	-	-	(12,366)	(12,366)
2023 წლის						
31 დეკემბრის						
მდგომარეობით	204,715	42,223	26,644	63,401	60,140	397,123
წლის დანარიცხი	49,853	9,097	4,956	5,040	31,425	100,371
გასვლები	(1,020)	(3,362)	(1,652)	(38,656)	(51,221)	(95,911)
2024 წლის						
31 დეკემბრის						
მდგომარეობით	253,548	47,958	29,948	29,785	40,344	401,583
საბალანსო						
ღირებულებები						
1 იანვარი, 2023 წ.	187,926	30,560	10,487	3,213	70,004	302,190
31 დეკემბერი, 2023 წ.	170,383	25,382	32,709	18,494	117,245	364,213
31 დეკემბერი, 2024 წ.	129,590	17,906	28,107	13,454	71,257	260,314

9. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანია იჯარით იღებს სხვადასხვა შენობას ოფისებისა და საწყობებისთვის. საიჯარო ხელშეკრულებები, როგორც წესი, ფორმდება ფიქსირებული ვადით 12 თვიდან 5 წლამდე.

საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	180,045
შემოსვლები	145,044
ცვეთის ხარჯი	(114,229)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	210,860
შემოსვლები	799,952
მოდIFIცირების ეფექტი	(143,964)
საიჯარო ვადის გადახედვა	(522,685)
ცვეთის ხარჯი	(183,040)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	161,123

კომპანიამ შემდეგი საიჯარო ვალდებულებები აღიარა:

ქართულ ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	88,722	45,556
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	108,291	174,184
სულ საიჯარო ვალდებულებები	197,013	219,740

2024 წლის იანვარში ახალი იჯარა გაფორმდა საოფისე ფართზე თბილისში, საქართველოში და შესაბამისი აქტივის გამოყენების უფლება აღიარდა 799,952 ლარის ოდენობით. 2024 წელს კომპანიამ გააფორმა ახალი საიჯარო ხელშეკრულება უძრავ ქონებაზე, რომლისთვისაც იჯარის დაწყების დრო 2025 წლით განისაზღვრა. ამ ახალი იჯარის მიზანია ორი არსებული გრძელვადიანი იჯარის ფუნქციის ჩანაცვლება და კონსოლიდირება. შესაბამისად, კომპანიამ გადახედა არსებულ საიჯარო ვადებს და განსაზღვრა მათი შეწყვეტის თარიღები, რათა შესაბამისობაში მოეყვანა ახალი უძრავი ქონების გადაცემასთან. გადაცემის თარიღი ხელშეკრულებით არის განსაზღვრული და დამოკიდებულია მეიჯარის მიერ სარემონტო სამუშაოების დასრულებასა და შენობის მომზადებაზე კომპანიის მითითებების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ საიჯარო ხელშეკრულება 2024 წელს გაფორმდა, კომპანიამ იჯარის საწყის დროდ 2025 წელი განსაზღვრა, ვინაიდან გამოყენების უფლება მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როდესაც მეიჯარე შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

9. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებების ანალიზი და კომპანიის ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებების ცვლილების დინამიკა თითოეულ წარმოდგენილ პერიოდში. ამ ვალდებულებების მუხლები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია, როგორც ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:

ქართულ ლარში	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის		2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	
	საიჯარო ვალდებუ- ლებები	სულ	საიჯარო ვალდებუ- ლებები	სულ
საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები				
1 იანვრის მდგომარეობით	219,740	219,740	215,616	215,616
ძირითადი თანხის დაფარვა	(180,103)	(180,103)	(144,552)	(144,552)
გადახდილი პროცენტი	(66,454)	(66,454)	(25,888)	(25,888)
პროცენტის დარიცხვა	66,454	66,454	25,888	25,888
შემოსვლა	799,952	799,952	145,045	145,045
იჯარის მოდიფიცირება	(143,964)	(143,964)	-	-
საიჯარო ვადის გადახედვა	(522,685)	(522,685)	-	-
სხვა	24,073	24,073	3,631	3,631
საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	197,013	197,013	219,740	219,740

10. სავაჭრო მოთხოვნები

ქართულ ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
სავაჭრო მოთხოვნები	1,270,170	1,061,730
გამოკლებული – საკრედიტო ზარალის რეზერვი	(170,383)	(237,707)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	1,099,787	824,023

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს მიმართავს, ანუ იყენებს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის რეზერვს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფდა საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დონეები ეყრდნობა მომხმარებლების გადახდების მაჩვენებლებს 24-თვიანი პერიოდის განმავლობაში ბალანსის ყოველი თარიღისთვის და შესაბამისად, და ამ პერიოდში განცდილ ისტორიულ საკრედიტო ზარალებს.

სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ზარალის რეზერვი განისაზღვრება ქვედა ცხრილში წარმოდგენილი ანარიცხების მატრიცის საფუძველზე. ანარიცხების მატრიცა ეყრდნობა აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას.

10. სავაჭრო მოთხოვნები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი, 2024 წ.				31 დეკემბერი, 2023 წ.			
	ზარა- ლის დონე	მთლიანი საბალანსო ლირებუ- ლება	არსებობის მანძილზე მოსალოდ- ნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა საბა- ლანსო ლირებუ- ლება	ზარა- ლის დონე	მთლიანი საბალანსო ლირებუ- ლება	არსებობის მანძილზე მოსალოდ- ნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა საბა- ლანსო ლირებუ- ლება
სავაჭრო მოთხოვნები								
- მიმდინარე	1.8%	964,717	(12,122)	952,595	1.8%	569,217	(10,246)	558,971
- 30-90 დღით ვადაგადაცილე- ბული	1.8%	99,751	(1,796)	97,955	1.8%	149,446	(2,690)	146,756
- 91-180 დღით ვადაგადაცილე- ბული	16.9%	44,597	(7,537)	37,060	16.9%	130,832	(22,111)	108,721
- 181-270 დღით ვადაგადაცილე- ბული	54.2%	26,103	(14,148)	11,955	54.2%	19,646	(10,648)	8,998
- 271-360 დღით ვადაგადაცილე- ბული	88.5%	1,936	(1,714)	222	88.5%	5,015	(4,438)	577
- 360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილე- ბული	100%	133,066	(133,066)	-	100%	187,574	(187,574)	-
სულ		1,270,170	(170,383)	1,099,787		1,061,730	(237,707)	824,023

ცხრილში განმარტებულია წლიური პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის სავაჭრო მოთხოვნებისთვის შექმნილ საკრედიტო ზარალის რეზერვში შესული ცვლილებები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების გამარტივებული მოდელის მიხედვით:

ქართულ ლარში	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ზარალის რეზერვი		
1 იანვრის მდგომარეობით	(237,707)	(355,084)
ამოღება/(ანარიცხების შექმნა)	67,066	104,656
მთლიანი კრედიტი პერიოდის მოგებაში ან ზარალში	67,066	104,656
სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკა	(258)	12,721
სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ზარალის რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	(170,383)	(237,707)

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ქართულ ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ნაღდი ფული	250	1,150
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში	3,303,161	2,046,723
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	3,303,411	2,047,873

მოთხოვნამდე გადასახდელი საბანკო ნაშთები განთავსებულია სს „თიბისი ბანკში“, რომელსაც Fitch Ratings-ისგან მინიჭებული აქვს „BB“ რეიტინგი.

ზემოთ და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შეადგენს 507,777 ლარს (2023 წ.: 899,880 ლარი), რომელიც კომპანიას მიღებული ჰქონდა „გადახდა მიწოდებისას“ (COD) მომსახურებისთვის თავისი კლიენტის, სფენიშ რითეილ ჯორჯიას, სახელით. თანხა უნდა გადაეხადოს კლიენტს 10-დღიან ვადაში (მე-13 შენიშვნა).

12. საწესდებო კაპიტალი

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალია 450,000 ლარი და ის სრულად აქვს შეტანილი შპს „არამექს რეგიონალს“.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიას შეუძლია დივიდენდების განაწილება თავისი წლიური მოგებიდან.

შპს „არამექს ჯორჯიას“ არ გამოუცხადებია და არ გადაუხდია დივიდენდი 2024 წელს. 2023 წლის 25 ოქტომბერს კომპანიამ გამოაცხადა 2,398,889 ლარის დივიდენდი, რომელიც უნდა გადაეხადოს მის ერთადერთ მფლობელს — შპს „არამექს რეგიონალს“. გადახდა განხორციელდა 2023 წლის 5 დეკემბერს აშშ დოლარში, რომელიც კონვერტირდა გადარიცხვის თარიღისთვის მოქმედი სავალუტო განაკვეთით. გამოცხადებულ დივიდენდზე დარიცხული მოგების გადასახადი 423,334 ლარს გაუტოლდა.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ქართულ ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
გადასახდელი შპს „არამექს რეგიონალისთვის“	1,018,500	446,082
გადასახდელი შპს „არამექს სფეშალ ლოჯისტიკისთვის“	817,438	121,421
გადასახდელი სფენიშ რითეილ ჯორჯიასთვის „გადახდა მიწოდებისას“ მომსახურებისთვის	507,777	899,880
გადასახდელი მომწოდებლებისა და სხვა მომსახურებისთვის	760,122	674,096
გადასახდელი შპს „არამექს ინტერნეიშენალისთვის“	76,266	65,353
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში შესული მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	3,180,103	2,206,832
დაქირავებულ მომუშავეთათვის გადასახდელი გასამრჯელო	45,841	86,340
სხვა ვალდებულებები, სულ	45,841	86,340
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,225,944	2,293,172

14. ამონაგები

კომპანიის ამონაგები მიიღება მომსახურების გადაცემიდან დროის გარკვეულ მომენტში მომსახურების შემდეგ ძირითად მიმართულებებში:

ქართულ ლარში	2024	2023
ტვირთის ექსპედირება	5,781,513	5,087,515
საერთაშორისო ექსპრეს ფოსტა	2,726,616	2,419,230
შიდა ექსპრეს ფოსტა	306,296	541,464
ამანათების გადაზიდვა (Shop 'n' ship)	8,102	6,823
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	8,822,527	8,055,032

15. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

ქართულ ლარში	2024	2023
ტვირთის ექსპედირება	3,732,585	3,305,388
საერთაშორისო ექსპრეს ფოსტა	1,311,807	1,194,481
შიდა ექსპრეს ფოსტა	146,268	216,320
ამანათების გადაზიდვა (Shop 'n' ship)	3,504	4,071
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	5,194,164	4,720,260

16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ქართულ ლარში	შენიშვნა	2024	2023
პროფესიული მომსახურების გასამრჯელო		369,973	364,361
ხელფასები და სარგებელი		365,780	320,281
როიალტი	7	176,181	161,030
ბიზნესის მხარდაჭერის გასამრჯელო	7	176,181	161,018
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა		132,045	75,454
ცვეთა და ამორტიზაცია		102,089	89,264
საბანკო მომსახურების საზღაური		34,770	29,242
პოლიგრაფიული მომსახურება და საკანცელარიო საქონელი		21,242	31,027
კავშირგაბმულობის ხარჯები		17,356	16,842
კომუნალური მომსახურება		15,202	19,793
მგზავრობის ხარჯი		13,528	958
გასართობი ღონისძიებები		12,019	6,844
რემონტი და ტექნიკური მომსახურება		4,076	5,144
ავტოტრანსპორტით სარგებლობის ხარჯი		3,664	4,514
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების (გაუქმება)/დარიცხვა		(67,324)	(117,377)
სხვა		55,200	25,710
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		1,431,982	1,194,105

17. გაყიდვების და მიწოდების ხარჯები

ქართულ ლარში	2024	2023
ხელფასები და სარგებელი	505,076	363,144
კავშირგაბმულობის ხარჯები	3,323	12,512
ავტოტრანსპორტით სარგებლობის ხარჯი	2,738	1,784
სხვა	–	5,570
გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები, სულ	511,137	383,010

18. სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა

ქართულ ლარში	2024	2023
ხელფასები და სარგებელი	727,363	592,318
ავტოტრანსპორტით სარგებლობის ხარჯი	97,908	87,890
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	50,992	38,774
მარაგები	35,049	35,784
კავშირგაბმულობის ხარჯები	9,089	6,283
ზარალი/(შემოსულობა) ძირითადი საშუალებების გასვლიდან	11,097	(12,366)
სხვა	43,405	10,768
სხვა საოპერაციო ხარჯები, სულ	974,902	759,451

19. პირობითი ვალდებულებები**სასამართლოში საქმის წარმოება**

დროდადრო, ჩვეული საქმიანობის პირობებში, კომპანიის წინააღმდეგ შეიძლება სარჩელი აღიძრას. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და ამ ფინანსური ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელი არ არსებობს და ამ ფინანსურ ანგარიშგებაში არავითარი ანარიცხები არ არის აღიარებული.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო უწყებების მიერ სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს განმარტებული.

გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების, საურავებისა და პროცენტის დაკისრების უფლება. საგადასახადო წლის შემოწმება საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში უფრო დიდი ხნის შემდეგაც.

19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საგადასახადო კანონმდებლობა (გაგრძელება)

ამ გარემოებებმა შეიძლება სხვა ბევრ ქვეყანაზე არსებითად უფრო მაღალი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება კომპანიის განმარტებებისგან განსხვავდებოდეს და, მათი წარმატებით აღსრულების შემთხვევაში, შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანიის დაუზუსტებელ საგადასახადო პოზიციებს ხელმძღვანელობა ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებზეც ხელმძღვანელობის აზრით, უფრო არის მოსალოდნელი დამატებითი გადასახადების დაკისრება, თუ ამ პოზიციებს საგადასახადო ორგანოები ექვევებ დააყენებენ.

ეს შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ძალაში შესული ან ფაქტობრივად ძალაში შესული საგადასახადო კანონმდებლობის განმარტებას. ვალდებულებები ჯარიმების, პროცენტის და გადასახადების სახით, რომლებიც არ არის დაკავშირებული მიღებულ შემოსავალთან, აღიარებულია იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ხელმძღვანელობა აფასებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამ ვალდებულებების დაფარვისთვის საჭირო დანახარჯებს.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება კომპანიის განმარტებებისგან განსხვავდებოდეს და, მათი წარმატებით აღსრულების შემთხვევაში, შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

20. ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქციას კომპანიაში ეკისრება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვა. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო (მათ შორის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკებს), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ფუნქცია არის რისკის ლიმიტების დადგენა და იმის უზრუნველყოფა, რომ დაუფარავი დავალიანება დადგენილ ლიმიტებს არ სცდებოდეს. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები გამიზნულია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

20. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი**

კომპანია აქვს საკრედიტო რისკი, რაც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს. კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

ქართულ ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
- სავაჭრო მოთხოვნები	1,099,787	824,023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		
- მოთხოვნამდე გადასახდელი საბანკო ნაშთები	3,303,411	2,047,873
საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა, სულ	4,403,198	2,871,896

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია

საანგარიშგებო პერიოდების ბოლოსთვის კომპანიის მიმდინარე ანგარიშების 100% მხოლოდ ერთ ბანკში იყო განთავსებული.

საკრედიტო რისკის მართვა

საკრედიტო რისკი კომპანიის ბიზნესისთვის უმნიშვნელოვანესი რისკია, ამიტომ ხელმძღვანელობა ამ რისკის მართვას სიფრთხილით ეკიდება.

საკრედიტო რისკის შეფასება, მისი მართვის მიზნით, კომპლექსური პროცესია და გულისხმობს მოდელის გამოყენებას, ვინაიდან რისკი იცვლება საბაზრო პირობების, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების და დროის გასვლის შესაბამისად. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება გულისხმობს დეფოლტების დადგომის ალბათობის, შესაბამისი ზარალიანობის კოეფიციენტების და კონტრაქტებს შორის დეფოლტის კორელაციების საფუძველიან განსაზღვრას.

ლიმიტები

კომპანია საკრედიტო რისკების დონეებს განსაზღვრავს ლიმიტების დაწესების გზით, რომელიც მზადაა ბანკმა მიიღოს ცალკეულ მსესხებელზე. საკრედიტო რისკის დონეზე დაწესებული ლიმიტები რეგულარულად მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ. საკრედიტო რისკების მონიტორინგი ხდება სისტემატურად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად გამარტივებულ მეთოდ იყენებს. ამ მეთოდით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დონეები განისაზღვრება მოთხოვნების ვადიანობის პროფილის საფუძველზე და დგინდება დავალიანების ამოღების ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით.

20. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება (გაგრძელება)**

დეფოლტის ალბათობის შეფასების მიზნებისათვის კომპანია დეფოლტს განსაზღვრავს, როგორც სიტუაციას, როდესაც რისკი აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან მინიმუმ ერთ კრიტერიუმს:

- ▶ კრედიტორის სახელშეკრულებო გადახდები 12 თვეზე მეტი ხნით არის გადაგადაცილებული;
- ▶ კრედიტორი აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ „არ არის მოსალოდნელი, რომ გადაიხადოს“ კრიტერიუმებს:
 - კრედიტორი გარდაიცვალა;
 - კრედიტორი არაკრედიტუნარიანია;
 - კრედიტორი გაკოტრების პირასაა.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა არაარსებითია და კომპანიას არ უღიარებია ის ფინანსურ ანგარიშგებაში.

საბაზრო რისკი

კომპანიას ახასიათებს საბაზრო რისკები. საბაზრო რისკებს განაპირობებს ღია პოზიციები (ა) სავალუტო, (ბ) საპროცენტო განაკვეთების და (გ) წილობრივი პროდუქტები, რომელთაგან ყველაზე მოქმედებს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. ხელმძღვანელობა აწესებს ლიმიტებს რისკის დასაშვებ მოცულობაზე, რისი მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს დანაკარგების აღმოფხვრას დაწესებული ლიმიტის ზევით ბაზარზე მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო კურსის მერყეობის რისკის მოცულობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის:

	2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ- ლებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ- ლებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ქართულ ლარში						
აშშ დოლარი	2,878,766	(2,287,357)	591,409	125,752	(1,101,435)	(975,683)
ევრო	326,473	(30,750)	295,723	226,030	(40,907)	185,123
გირვანქა						
სტერლინგი	-	-	-	-	-	-
სულ	3,205,239	(2,318,107)	887,132	351,782	(1,142,342)	(790,560)

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიიჩნევა, რომ ინვესტიციები კაპიტალში და არაფულად აქტივებში არ წარმოშობს არსებით სავალუტო რისკს.

20. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**სავალუტო რისკი (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის სამუშაო ვალუტასთან მიმართებით სავალუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილებების ეფექტი მოგების ან ზარალის ანგარიშგებაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადის უცვლელობის შემთხვევაში:

ქართულ ლარში	2024	2023
	ეფექტი მოგებაზე ან ზარალზე	ეფექტი მოგებაზე ან ზარალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	118,282	(195,137)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	(118,282)	195,137
ევროს გამყარება 20%-ით	(59,145)	37,025
ევროს გაუფასურება 20%-ით	59,145	(37,025)

რისკის მოცულობა გამოთვლილია მხოლოდ ფულადი ნაშთებისთვის, რომლებიც გამოხატულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას არ აქვს პროცენტით ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა. ვინაიდან ფულად სახსრებთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთის რისკი არაარსებითად მიიჩნევა იმის გამო, რომ ნაშთები მოკლევადიანია, კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. კომპანია ხასიათდება ყოველდღიური მოთხოვნით ფულადი სახსრების ხელმისაწვდომ რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკვირდება ყოველთვიურ პროგნოზებს კომპანიის ფულად ნაკადებთან დაკავშირებით.

კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსირების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. კომპანიის ლიკვიდური პორტფელი შედგება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან (მე-11 შენიშვნა).

ლიკვიდურობის პოზიცია რეგულარულად კონტროლდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ.

ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებიც გაანალიზებულია დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით. ვადების ცხრილში ნაჩვენებია თანხები წარმოადგენს ფულადი სახსრების სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოდენობებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მითითებული თანხები ემყარება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მონაცემებს.

20. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

როდესაც ვალდებულების ოდენობა ფიქსირებული არ არის, გასამჟღავნებელი თანხის ოდენობა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების შესაბამისად. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ქართულ ლარში	მოთხოვ- ნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
საიჯარო						
ვალდებულებები (0 შენიშვნა)	(19,445)	(38,891)	(47,513)	(122,798)	–	(228,647)
სავაჭრო და სხვა						
ვალდებულებები (13 შენიშვნა)	(3,225,944)	–	–	–	–	(3,225,944)
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხისა და პროცენტის სამომავლო გადახდების ჩათვლით	(3,245,389)	(38,891)	(47,513)	(122,798)	–	(3,454,591)

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ქართულ ლარში	მოთხოვ- ნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
საიჯარო						
ვალდებულებები (0 შენიშვნა)	(5,600)	(11,120)	(50,395)	(235,949)	–	(303,064)
სავაჭრო და სხვა						
ვალდებულებები (13 შენიშვნა)	(2,206,842)	–	–	–	–	(2,206,842)
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხისა და პროცენტის სამომავლო გადახდების ჩათვლით	(2,212,442)	(11,120)	(50,395)	(235,949)	–	(2,509,906)

21. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები. კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზანია, უზრუნველყოფს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა შექმნას უკუგება მფლობელებისთვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის და შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტირების მიზნით, ბანკმა შესაძლებელია შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს, ან გაყიდოს აქტივები ვალდებულებების შემცირების მიზნით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან და შეფასებულია 1,639,812 ლარით (2023 წ.: 1,067,622 ლარი).

22. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეების მიხედვით: (i) 1-ელი დონე - იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე, (ii) მე-2 დონე – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა, და (iii) მე-3 დონე - ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომლებიც არ ეყრდნობა ემპირიულ საბაზრო მონაცემებს (ე.ი. არაემპირიული ამოსავალი მონაცემები). ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით შეფასებისას ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც მნიშვნელოვან კორექტირებებს საჭიროებენ, აღნიშნული შეფასება მე-3 დონეს განეკუთვნება. შეფასების ამოსავალი მონაცემების მნიშვნელობა ფასდება მთლიანად სამართლიანი ღირებულებით შეფასებასთან მიმართებით.

22. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, თუმცა მათი სამართლიანი ღირებულება მოცემულია განმარტებით შენიშვნებში

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შესაბამისი დონის მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულება და საბალანსო ღირებულება იმ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით:

ქართულ ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.				31 დეკემბერი, 2023 წ.			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებუ- ლება	დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებუ- ლება
აქტივები								
- სავაჭრო მოთხოვნები	-	-	1,099,787	1,099,787	-	-	824,023	824,023
სულ აქტივები	-	-	1,099,787	1,099,787	-	-	824,023	824,023
ვალდებულებები								
- საიჯარო ვალდებუ- ლებები	-	-	(197,013)	(197,013)	-	-	(219,740)	(219,740)
- სავაჭრო და სხვა ვალდებუ- ლებები	-	-	(3,225,944)	(3,225,944)	-	-	(2,206,832)	(2,206,832)
სულ ვალდებუ- ლებები	-	-	(3,422,957)	(3,422,957)	-	-	(2,426,572)	(2,426,572)